



სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის განვითარების ხედვა

(2016 – 2020)

შესავალი

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (ეთა) განვითარების ხედვის დოკუმენტი წარმოადგენს 2016-2020 წლებისთვის ეთა-ს სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს აკადემიის განვითარების ხედვას, პრიორიტეტებს, ძირითად ამოცანებსა და მართვის პრინციპებს.

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში განათლებულ ოფიცერთა კორპუსს უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება. განსაკუთრებით, მოწყვლადი რეგიონული უსაფრთხოების გარემოსა და ცვალებადი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის პირობებში.

საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე მნიშვნელოვანია თანამედროვე, ნატოს სტანდარტების შესაბამისი სამხედრო განათლების სისტემის ჩამოყალიბება, რაც საქართველოს შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლებასა და საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში ქართული სამხედრო კონტინგენტის ეფექტიან მონაწილეობას განაპირობებს.

2015 წლიდან ეთა-ს ყველა სკოლაში სრული ციკლით ხორციელდება საგანმანათლებლო პროცესი. აკადემიამ გამოუშვა ბაკალავრთა პირველი ნაკადი. მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში განხორციელდება სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ისევე, როგორც სწავლებასთან დაკავშირებული კონკრეტული მიდგომებისა და ორგანიზაციული პროცესების ანალიზი. აღნიშნული მიმართულებით მოხდება პარტნიორი ქვეყნების ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების ჩართვა, მოწინავე გამოცდილებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება.

ეთა-ს განვითარების ხედვის დოკუმენტი ეფუძნება ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის დაგეგმვის სტრატეგიულ დოკუმენტებში ასახულ პრიორიტეტებს. უმაღლესი სამხედრო განათლების სისტემის განვითარება თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტსა და შეიარაღებული ძალების განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენს.

მისია

ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიას წარმოადგენს საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და ქვეყნისთვის უმაღლესი აკადემიური და სამხედრო განათლების, მაღალი ეთიკის, მტკიცე მორალისა და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსის მომზადება.

მიზანი

ეთა-ს მიზანია თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესის მხარდაჭერა, თავდაცვის სამინისტროსა და უსაფრთხოების სექტორის სამოქალაქო და სამხედრო პერსონალისთვის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და სწავლების უახლეს მეთოდებზე დაფუძნებული, მაღალი ხარისხის აკადემიური განთლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა.

მართვის პრინციპები

- თანმიმდევრული და ხარისხიანი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა;
- სამართლიანობის, თანასწორობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვა;
- ინოვაციების მხარდაჭერა;
- მუდმივი განვითარებისკენ სწრაფვა.

2016 – 2020 წლების პრიორიტეტები

ეთა-ს მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, რაც, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს შეიარაღებული ძალების მოთხოვნების შესაბამისად ოფიცერთა სამხედრო განათლების საფეხურებრივი სასწავლო პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას გულისხმობს, 2016-2020 წლების პრიორიტეტული მიმართულებებია:

- სასწავლო პროცესის სრული ციკლის ეფექტიანი ფუნქციონირება;
- მართვის თანამედროვე მიდგომებისა და მექანიზმების დანერგვა-განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება;
- ქვეყნის და საერთაშორისო მასშტაბით თანამშრომლობის განვითარება;
- სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობა.

სასწავლო პროცესის სრული ციკლის ეფექტიანი ფუნქციონირება

ეთა-ში სასწავლო პროცესის სრული ციკლი მოიცავს არსებული საჭიროებების ანალიზს და სასწავლო/საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგსა და შეფასებას.

ეფექტიანი სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მისი თითოეული ეტაპის თავსებადობა თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიულ მიზნებთან და საგანმანათლებლო/სასწავლო ციკლის ინსტიტუციონალიზაცია, რაც შემდეგ მიმართულებებს მოიცავს:

აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობა სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკასთან - ბოლონის პროცესის მოთხოვნების დაცვა და ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან თავსებადობა.

ოფიცერთა თანმიმდევრული, საფეხურებრივი სამხედრო განათლების პროცესის უზრუნველყოფა - საბაკალავრო პროგრამისა და სამხედრო გვარეობების მიხედვით ოფიცერთა საფეხურებრივი სამხედრო განათლების შესაბამისი კურსების ორგანიზება.

სამხედრო/აკადემიური სკოლების განვითარება - ინტელექტუალური რესურსის მუდმივი განვითარება, სასწავლო/საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების დახვეწა, სასწავლო მასალების სრულყოფა, სწავლების უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება. სამხედრო და სამოქალაქო სპეციალობის ცალკეული სასწავლო კურსების უცხოურ ენაზე (ინგლისური ენა) განხორციელება. ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესისთვის მომზადება და ყველა შესაბამისი პროცედურის წარმატებულად გავლა.

სამაგისტრო პროგრამების ამოქმედება - სამაგისტრო პროგრამების ყველა შესაბამის სტანდარტთან თავსებადობაში მოყვანა და ხსენებულ საფეხურზე მიღების დაწყება. აუცილებელი სასწავლო მასალის სრული მოცულობით უზრუნველყოფა და ინტელექტუალური რესურსის მობილიზება. სრული საგანმანათლებლო ციკლის მაღალ დონეზე განხორციელება და მუდმივი დახვეწა-განვითარება.

ენობრივი მომზადების სისტემების განვითარება - თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის ენობრივი მომზადების პროცესის უზრუნველყოფა და მოთხოვნის შესაბამისად სხვადასხვა ინტენსივობისა და ფორმატის კურსების შეთავაზება. არსებული პროგრამების დახვეწა-დივერსიფიკაციის უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფა.

დოქტრინების/სახელმძღვანელოების ერთიანი სისტემის განვითარების მხარდაჭერა - თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების მიზნებიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე, შეიარაღებული ძალების სტრატეგიული და ოპერატიულ-ტექნიკური დოქტრინებით/სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოს სტანდარტებთან თავსებადი დოქტრინების/სახელმძღვანელოების დანერგვის პროცესის მხარდაჭერა.

პროფესიული განვითარების პროცესის მხარდაჭერა - თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეებისა და უსაფრთხოების სექტორის საჯარო მოხელეებისთვის პროფესიული განვითარებისა და საკარიერო წინსვლისთვის აუცილებელი საინფორმაციო, საგანმანათლებლო და საკონსულტაციო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება.

„ინტეგრირებული სწავლების“ (Blended Learning) სისტემების დანერგვა-განვითარება - აკადემიის საგანმანათლებლო ერთეულებში შესაბამისი ელექტრონული სასწავლო პლატფორმის დანერგვა და მუდმივი დახვეწა-განვითარება. სასწავლო პროცესის ცალკეული შემადგენელი ელემენტების შესაბამისი ადაპტაცია. პროფესორ-მასწავლებლების, ინსტრუქტორებისა და დამხმარე პერსონალის გადამზადება.

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა - კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და შესაბამისი სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზება. აკადემიის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში უწყების, ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით არსებული ინტელექტუალური რესურსის ჩართვა. ყოველწლიურად აკადემიის სამეცნიერო შრომების კრებულის გამოცემა.

მართვის თანამედროვე მიდგომებისა და მექანიზმების დანერგვა-განვითარება

ეთა-ში მართვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება აკადემიის განვითარებისთვის საკვანძო მიმართულებას წარმოადგენს. მართვის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა და განვითარება რესურსების რაციონალურ განაწილებას, ბიუროკრატის გამარტივებას, გადაწყვეტილების მიღების პროცესის დეცენტრალიზაციასა და ორგანიზაციაში არსებული კომპეტენციების მიზანმიმართულ გამოყენებას უზრუნველყოფს. ეფექტიანი მართვის სისტემის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია:

კონცეპტუალური ბაზის დახვეწა-განვითარება - ეთა-ს მართვასთან და განვითარებასთან დაკავშირებული კონცეფციების, სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და დოქტრინების დახვეწა-განვითარება.

ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება - ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მექანიზმებისა და პროცესების განვითარება და ინსტიტუციონალიზაცია, მათ შორის, მაღალკვალიფიციური და მოტივირებული აკადემიური, ადმინისტრაციული და სამხედრო პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, პროფესიული ზრდის, შეფასებისა და კარიერის მართვის სისტემების დახვეწა. აკადემიის პერსონალის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების გაუმჯობესება.

ფინანსური მართვისა და შესყიდვების სისტემის განვითარება - აკადემიის გეგმების რეალიზაციისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმვა, აკადემიის შეუფერხებელი ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის აუცილებელი შესყიდვების გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვა - განათლების ხარისხის ასამაღლებლად სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება, ტოტალური ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შექმნა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებში ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დახვეწა

ეთა-ს, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მიუხედავად, ესაჭიროება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, შემდგომი გაუმჯობესება.

არსებული და დამატებით საჭირო შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოებისა და მშენებლობის დასრულება და საჭირო ინვენტარით აღჭურვა.

სასწავლო/სამეცნიერო ლაბორატორიების ბაზების გაუმჯობესება. აკადემიის საბიბლიოთეკო ფონდის მუდმივი შევსება, საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებთან წვდომის შესაძლებლობის დივერსიფიკაცია, სასწავლო პროცესის მუდმივი მხარდაჭერა საჭირო მასალების ბეჭდვით, გამრავლებითა და დიგიტალიზაციით. მომხმარებლისთვის ბიბლიოთეკის რესურსების მოქნილი და ინფორმაციული ელექტრონული კატალოგის შეთავაზება.

კომპიუტერული საგამოცდო ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა.

ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით თანამშრომლობის განვითარება

ეთა-ს განვითარების წინაპირობაა ეფექტიანი თანამშრომლობა, როგორც თავდაცვის სისტემის შიგნით, ისე ქვეყნის მასშტაბით არსებულ საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან, აკადემიურ წრეებთან, კვლევით ცენტრებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ასევე მნიშვნელოვანია მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე პარტნიორი ქვეყნების სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ნატო-ს, აშშ-ს და სხვა პარტნიორ სახელმწიფოებს დიდი წვლილი შეაქვთ, როგორც ცალკეული სასწავლო პროგრამების, ისე, ზოგადად, განათლების სისტემის გამართვასა და განვითარებაში. აკადემიის რეფორმირების წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია:

ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კავშირების დამყარება და გაღრმავება - ორმხრივი და მრავალმხრივი

ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების გაფორმება, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, ცოდნისა და გამოცდილების მიღება-გაზიარებისთვის ერთობლივი სასწავლო, საკონსულტაციო და საგანმანათლებლო პროგრამების ორგანიზება, ლექტორებისა და სტუმრების მოწვევა და ა.შ.

ნატო-ს პროგრამებთან (DEEP, PDP, PFP-C, BILC) თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია - არსებული მოთხოვნების შესაბამისად ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერაზე ორიენტირებული თანამშრომლობის წარმოება.

სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობა

გამჭვირვალე, ეფექტიანი და ხარისხიანი სწავლებისა და მართვის უზრუნველსაყოფად ეროვნული თავდაცვის აკადემია აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოებასთან. საჯარო ლექციების, დისკუსიების, გამოფენებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზება, საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან, არასამთავრობო სექტორთან ინტენსიური თანამშრომლობის მუდმივი მხარდაჭერა ეთა-ს განვითარების წინაპირობას წარმოადგენს.

განვითარების პერსპექტივები

ეროვნული თავდაცვის აკადემია აგრძელებს თანმიმდევრული, უწყვეტი განვითარების პროცესს.

კვალიფიციური აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სამხედრო ინსტრუქტორები, მაღალი სტანდარტების ინფრასტრუქტურა, სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები იმის მყარ წინაპირობას ქმნის, რომ ეთა პრესტიჟულ, მოთხოვნად და ძლიერ საგანმანათლებლო ინსტიტუტად ჩამოყალიბდეს და შემდგომში კიდევ უფრო განვითარდეს. აღნიშნული პროცესი ეტაპობრივად, ეთა-ს განვითარების სამოქმედო გეგმების შესაბამისად განხორციელდება.

2016-2017 წლებში, საერთო-საჯარისო მომზადების ცენტრის ჩამოყალიბება, რომელშიც ინტეგრირებული იქნება სპეციალიზირებული გადამზადების კურსები, ითვალისწინებს ოფიცრის სამხედრო განათლების ძირითადი საფეხურის განმახორციელებელი სკოლისა და კურსების გატანას ეროვნული თავდაცვის აკადემიის შემადგენლობიდან.

ეთა-ს მიერ განხორციელდება ისეთი საგანმანათლებლო, საკონსულტაციო და პროფესიული განვითარების პროგრამები, რომლებიც არა მარტო საქართველოს უსაფრთხოების მთელ სისტემას, არამედ რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე

პარტნიორობა მშვიდობისთვის ფორმატის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს მოემსახურება.

მუდმივი თვითშეფასებისა და განვითარებისკენ სწრაფვის პარალელურად ეთა რეგულარულად განახორციელებს პრიორიტეტებისა და ამოცანების გადახედვას, რათა ისინი სრულ შესაბამისობაში იყოს ცვალებად გარემოსა და მოთხოვნებთან.